პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 122 (19264) სამშაბათი, 28 მაისი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ჩვენს დიად სამეზობლოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

წ ე რ ი ლ ი

პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, სოფლის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საკვების დამზადების კამპანიის დამდეგს გადაწყვეტილ სპეციალური წერილით მიმართონ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოებს, სოფლის ყველა მშრომელს.

დღითი დღე მატულობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპი. მოსავლისათვის ბრძოლა დაიწყეს საკვებწარმოების მუშაკებმაც. მათ წინაშე დიდი, პასუხსაგები ამოცანები დგას, და იმაზე, თუ როგორ გადაწყვეტენ მათ ისინი, უდიდესწილად იქნება დამოკიდებული მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმების შესრულება და ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესება.

ცუდად როდი იმუშავეს საკვებდამამზადებლებმა შარშან, მათ გადაკარბებით შეასრულეს ხენაფის, ნამჭისის და სხვა უბენი საკვების დამზადების, ბალახის უხვნილის წარმოებისა და საკუთარი წარმოების სიფურაჟე მარცვლეულის დაბინავების დაკალენდანი.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, რომლებმაც განაპირობეს 1984-85 წლების პარტიტვის წარმატებული გამოზამრება, საკვებწარმოება, როგორც დამოუკიდებელი დარგი, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების დონეს და ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს პარტიისა და მთავრობის მოთხოვნებს მეცხოველეობისა და საკვებწარმოების შემდგომი განვითარების შესახებ. ცალკეულ რეგიონებსა და მეურნეობებში წლითიწლობით იღებენ საკვები კულტურების არასტაბილურ, მცირე მოსავალს, ხშირად საკვების დამზადების დაგვიანთა შესრულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამინდის პირობებზე. რესპუბლიკის ყველა რაიონში როდი მიაღწიეს საჭირო გარდაქმნებს საკვები კულტურების რაციონალური განლაგების, მელიორირებული მიწების ეფექტიანი გამოყენების, ორგანული და მინერალური სასუქების ხმარების საქმეში.

წლითიწლობით არ სრულდება ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესების გეგმები, რომლებსაც არსებითი როლი ეკუთვნით საკვების წარმოების გადიდებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოების უურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაიბეჭოს საკვებწარმოების ორგანიზაციული სტრუქტურა, მიეცეს დარგს სპეციალიზებული ხასიათი.

წელს არ უნდა გავიმეოროთ წინა წლების შეცდომები და ხარვეზები, ამინდს, როგორც ცნობილია, ვერ შეუკვეთავ. ამიტომ უაღრესად საჭირო გამოვიჩინოთ დიდი ორგანიზებულობა, ინიციატივა, მაქსიმალურად დავძაბოთ ძალები, დავრაზმოთ მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა საკვების დამზადების კამპანიის ყველა ეტაპზე.

სამწუხაროდ, ადგილებზე ყველგან როდი მიუდგნენ სათანადო პასუხისმგებლობით ამ კამპანიის მომზადებას, ცალკეულ რაიონებში ბეიზურდება საკვების ახალები ტექნიკის რემონტი. ყველგან არ არის ჩამოყალიბებული საკვებდამამზადებელთა ბრიგადები და რგოლები. ეს შემაფოთებელი სიგნალია, რომელსაც ოპერატიულად უნდა გამოეხმაურონ, უწინარეს ყოვლისა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი.

სწორედ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა სპეციალისტებმა უნდა იღონონ ყველაფერი მინდვრისა და მდელოს საკვებწარმოების რეზერვების გამოვლენისა და სრული გამოყენებისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების, საკვების დამზადების, გადამუშავებისა და შენახვის პროგრესული ტექნოლოგიათა ფართოდ დანერგვისათვის.

რესპუბლიკის თითოეული კოლმეურნეობისა და სახბჭოთა მეურნეობის წინაშე დღეს დასახულია ამოცანა — გაუაზრებლივ ყველა სახეობის საკვების ხარისხი, მკვეთრად შეამცირონ მათი უუფთაესობის დაკარგვა ადებისა და შენახვის დროს. ერთიულ მეცხოველეობის პროდუქციაზე საკვების ბარჯის, ულუფაში კონცენტრატების ხვედრითი წილის შემცირება შეიძლება არა მარტო და არა იმდენად სილოსის, თივისა და სენაჟის წილის გადიდების ხარჯზე, რამდენად მათი ხარისხის გაუჯობესების გზით. ამ ამოცანის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია არა მარტო მეცხოველეობის პროგრესი, არამედ მარცვლეულის დაზოგვის პრობლემის წარმატებული გადაწყვეტაც.

საკვების ხარისხი უნდა განვიხილოთ არა მარტო როგორც ტექნოლოგიური ნიშანი, არამედ როგორც მეურნეობის მართვის ორგანიზაციული უარუნველყოფის დონის, ამინდის ყოველგვარ პირობებში მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების ყველა რესურსის გამოყენების უნარის მაჩვენებელიც.

მინდვრიდან ფერმამდე საკვების გზაზე ბევრი „ვიწრო“ უბანია, სადაც ფურაჟმა შეიძლება დაკარგოს თავისი საუკეთესო თვისებები. ამიტომ უაღრესად საჭიროა, რათა ყუათიან ნივთიერებათა შენარჩუნებისადმი კონტროლი იყოს გამკაცრებული, ეხებოდეს საკვების დამზადების პროცესის ყველა რგოლს. ძირითადი დანაკარგები ჩვეულებრივ მაშინ ხდება, როცა აგვიანებენ ბალახის თიბვას, ან უშვებენ დიდ განსხვავებას თიბვასა და ღვარულების აღებას შორის, არ იყენებენ მწვანე მასის წნეხვას, ვენტილაციას, ხელოვნური შრობისა და გადამუშავების სხვა ეფექტიან ხერხებს. ტექნოლოგიური ჯაჭვის სწორედ ამ რგოლებს უნდა დაუწყნდეს ოპერატიული ლაბორატორიული კონტროლი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბალახის უხვნილის წარმოების აგრეგატების გამართულ და შეუფერხებელ მუშაობას, რათა მთელი მწვანე მასა გადამუშავდეს უდანაკარგოდ ტექნოლოგიური წესების მკაცრად დაცვის პირობებში.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ კარგ შედეგებს, მაქსიმალურად დავაგროვოთ საკვები მომავალი გამოზამრებისათვის, კოლმეურნეობებსა და სახბჭოთა მეურნეობებში უნდა გავზარდოთ მუდმივმოქმედი რაზმებისა და ბრიგადების რიცხვი, ამასთან მათ მივუჩინოთ საკვები კულტურების, ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართობები, საჭირო ტექნიკა და მოწყობილობა საკვების გადასამუშავებლად. საკვებწარმოებაში ფართოდ უნდა დანერგოს კოლექტიური იჯარა. საკვებდამამზადებელთა ბრიგადებმა და რგოლებმა, რომლებიც კოლექტიური იჯარით შეიარაღდნენ, შარშან გადამწყვეტი წვლილი შეეტანეს საკვების დამზადების კამპანიის ტემპის დაჩქარებაში. გულდაჯერებით შეიძლება ითქვას: თუ პატრონი ეყოლება საკვებ მინდორს, კარგი შედეგებიც იქნება.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ საკვებდამამზადებელთა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მივაღწიოთ, რომ საკვების დამზადების კამპანია შემჭიდროებულ ვადებში დამთავრდეს. ამ მიზნით საჭიროა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, ავამოქმედოთ ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალური რეზერვები და, უწინარეს ყოვლისა, გავაქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გავზარდოთ თითოეული მშრომელის პასუხისმგებლობა და უკუგება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დარწმუნებულნი არიან, რომ სოფლის ხახელოვანი მშრომელები წარმატებით გადაწყვეტენ მათ წინაშე დასახული ამოცანებს, სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილ დამკვრელურ შრომით ვახტს აღნიშნავენ ახალი მიღწევებით, დაიპყრობენ კიდევ უფრო მაღალ მიჯნებს სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ლეონიდ ბრეჟნევი საქართველოში

ლეონიდ ბრეჟნევი ბულგარეთში



... ბულგარეთ-საბჭოთა ... ...

პარტიული ცხოვრება:

ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამბობენ დასასკვნებს

ერთიანი ნებით

ხდება ხოლმე, ადამიანები ერთმანეთის გვერდით წლობით შრომობენ, ერთმანეთის შესახებ კი ბევრი რამ მაინც არ იციან; ამიტომ იყო, რომ ღია პარტიული კრების მონაწილენი განსაკუთრებული ყურადღებით აღიქვამდნენ ყოველ ფაქტს, ამბავს, თვითანთი კოლმეურნეობის წინამძღოლის — ხაშურის რაიონის ცოცხნარის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ტარიელ ჭანკოტაძის შესახებ, რომლის ანგარიშიც მოისმინეს.

რამდენიმე სტრიქონი ტ. ჭანკოტაძის ბიოგრაფიიდან:

1973 წელს შედის საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ თავის რაიონს უბრუნდება. მუშაობს აგრონომად ოსიკოვის კოლმეურნეობაში, რაიონის მთავარ მეხილე-აგრონომად, ცოცხნარის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად, ამავე კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად, პარტიის ხაშურის რაიკომის ინსტრუქტორად, 1983 წლის თებერვლიდან ცოცხნარის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა.

თუ რამდენად ნაყოფიერი გამოდგა პარტიული და სამეურნეო წრობის ის ჯზა ტ. ჭანკოტაძისათვის, ამის შესახებ პრინციპული და საქმიანი საუბარი გიამბართა შარშან თებერვალში საქართველოს სამპარტიული ბაზრის რაიონის ბიუროზე, სადაც მისი დასასრულება დამტკიცეს.

მაშინ რაიონის ბიუროს ცოცხნარის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ურჩია მეტი ყურადღება დაეთმო საკოლმეურნეო ეკონომიკის გაძლიერებისა და სოციალური საკითხებისათვის, წარმოებისა, ახალი პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვისათვის.

დიახ, ეს იყო ერთი წლის წინათ... და ეს იმავე პარტიულ კრებაზე წარმოდგენილი მისი დასასიათების პროექტში აღინიშნა:

პარტიის რაიკომის ბიუროს შემდეგ განვლილ პერიოდში ტ. ჭანკოტაძემ გარკვეული შუშაობა გაწია რეკომენდაციათა-არჩევის პროკტიულ საქმიანობაში გამოსაყენებლად. ხელი მოკიდა ეკონომიკური საკითხების შესწავლა-დაუფლებას, ზოგიერთი სამეურნეო პრობლემის მოგვარებას.

შედეგმა კი დაგაოცა: შარშან კოლმეურნეობამ შედარებით გამოსაწორა თავისი სფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა: სამეურნეო წელი 130 ათასი მანეთი მოგებით დაამთავრა.

მაგრამ ბევრი იმ შენიშვნიდან, რომლებიც პარტიის რაიკომის ბიუროზე ტ. ჭანკოტაძის მსმენართა ითქვა, მას დასკვნები არ გამოუტანია. როგორც ჩანს, თავმჯდომარემ ბოლომდე არ გააანალიზა და პრინციპული შეფასება არ მისცა ყოველივე ზემოთქმულს.

მოკამათეებმა ამის შესახებ პრინციპულად და გულახდილად ილაპარაკეს.

ე. ქუთელია — მეცხოველეობის ფერმის მწველავი: სხვა წლებს რომ თავი დავახებთ, მარტო მაგრშან მეცხოველეობის ფერმაში ცოტა რამ რიდი გაკეთდა. პირუტყვს ახლა განსაკუთრებით ბევრი აქვს საკვები, ამოვქმედდა საკვებდამამზადებელი საამქრო. ამ ღონისძიებებმა საგრძნობლად შეამცირა კადრების დენადობა, გაიზარდა ფურების საშუალო წველადობა... ყოველივე ეს კარგია, მაგრამ ფერმებში ბევრი საშური საქმე ბოლომდე მაინც ვერ მოგვგვარებია. ავიღოთ თუნდაც წყალგამაცხელებლის საკითხი. მის დამონტაჟებაზე ცოტა ფული რიდი დაიხარჯა, დანადგარი კი არ მუშაობს. ამას, ჩვენელებრივ, საკოლმეურნეო სახსრების უყაირათოდ ფლანგვა ჰქვია...

ი. ბაქრაძეული — პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე: სიაზლის გრძნობა ხელმძღვანელი შუშაკის აუცილებელი თვისება უნდა იყოს. შორს არ წავალ. აგერ, ჩვენს მეზობელ ქარელის რაიონზე მოგახსენებთ. შარშანწინ ამ რაიონის ოფისის საბჭოთა მეურნეობაში მეხილეებმა უგანრიგო რეგოლები ჩამოიყალიბეს და ბაზმოიარე ბალებიდან, სადაც ადრე 20-30 ცენტნერ ხილს ძლივს კრეფდნენ, ერთბაშად 70 და მეტი ცენტნერი ხილი მოიწიეს.

ამ სიაზლის გასაცნობად და დასაოფად ქარელელებთან რესპუბლიკის ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობიდან ჩამოვიდნენ, ავადმყოფური რეაქცია, წუწნიობა და სხვა.

კოლმეურნეობაში ყველამ იცის: თავმჯდომარეს შეეძლება შეგახვიოს, მაგრამ დამნაშავეც რომ იყო, სამსახურიდან არ გიგდოთაოსუფლებს, პასუხს არ გაგებინებს. კარგი კაცია, ამბობენ ხოლმე მასზე. მაგრამ ისიც ვიკითხოთ— ვინ ამბობს ამას? ვისაც არც დაწესებულნი უყვარს, არც შრომა. დიახ, ურიგო კაცი როდია ჩვენი თავმჯდომარე, ალალია, პატიოსანია, მაგრამ მუშაობაში უპრინციპობა და გულარხეინობა სჩვენია. ეს ნაკლი თავადაც ვნუნს და კოლექტივსაც.

ასეთი „კეთილშიაი" კი მოხდა: ტ. ჭანკოტაძეს ბავშვობიდან ვიცნობ, სკოლის მერხიდან. შემდეგ კომკავშირში ერთად ვმუშაობდით. იგი ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა როგორც კომუნისტი და აპეკალისტი, როგორც სანერგეო ხელმძღვანელი. დღევანდელ კრებაზე გამოსულებმა, რომლებიც მისი საქმიანობის, ხასიათის ავ-კარგს შეეხნენ, აღნიშნეს, რომ იგი კარგი მუშაკია, მაგრამ აქვს ნაკლოვანებებიც, რომლებიც ცუდ სამსახურს უწევს მასაც და კოლმეურნეობის მორალურ კლიმატსეც უარყოფითად მოქმედებს. სხვათა შორის, ზუსტად ერთი წლის წინათაც ტ. ჭანკოტაძეს ისევე ეუბნებოდნენ პარტიის რაიკომის ბიუროზე, როცა მის პარტიულ დასასიათებას ეამტკიცებდნი. მიეუთითეთ ზემდეტ თვითდაჯერებულობაზე, სიყოყოფიზე, ერთპიროვნულად საკითხების გადაწყვეტისადმი მიდრეკილებაზე. კარგია, რომ მან უურად იღო რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგების შენიშვნები. აქ გამოსულმა №5 ბრიგადის ბრიგადირმა თ. ქერდაძემ ისიც კი თქვა, რომ სკკპ წევრის ტ. ჭანკოტაძის დღევანდელი შუშაობის სტილი ადრინდელთან შედარებით როგორც დღე და ღამე ისე განსხვავდებამ. მისასალმებელია ასეთი პოზიტიური ცვლილებები პიროვნებაში, მაგრამ მან ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს, რათა დადროოს კომენისტისათვის, კოლექტივის თვალაკაცისათვის ისეთი უცნო თვისებები, როგორიცაა ხელქვეთებისადმი მბრძანებლური ტონი წმუვაეე საკითხების გვერდის აცლა, აჩქარება ზოგიერთი პრობლემის გადაჭრისას, უპრინციპობა, სიაზლისადმი გულგრილობა...

ღია პარტიულმა კრებამ დაუშვებლად მიიჩნია კომუნისტ ტ. ჭანკოტაძის ყველა ამ ჩამოთვლილი ნაკლი და მას სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

იმედია, იგი სათანადო დასკვნებს გამოიტანს ამ შეფასებიდან.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" ხაკ. კორ.

კადრების სწავლება

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში დამთავრდა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, სახალო დეპუტატთა საბჭოების, საოლქო საბჭოების აღმასკომების მდივნების მეცადინეობა. სწავლების დროს დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ. მისად სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სახელმწიფო ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის, საბჭოების საქმიანობის სტილისა და მეთოდების გაუჯობესებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მეთვრამეტე ხუთწლეულის ეკონომიკის წარმატებით შესრულებისათვის, პარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის შრომელთა დარაზმვაში მათი როლის გადიდებას. განიხილეს შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების საკითხები, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებიდან გამომდინარე საბჭოთა ორგანოების ამოცანები.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ფ. ნ. ფენომენოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ბ. ორლოვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ს. პ. ბურნაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა: მოადგილეები ხ. ს. იგრუსოვი, კ. ნ. მოგილნიტსკი, ბ. ი. ალეკსეევი, ა. ა. ტოლსტიხინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. ია. რეკუნკოვი, ა. ბ. ბეკოვი, ეროვნული ეკონომიკის მიღწევათა ეროვნული ბანკის ადმინისტრაციის მთავარი რევიზორ-ინსპექტორ ა. ბ. ბეკოვი, „ეკონომიკური ინფორმაციის" მთავარი რედაქტორი ფ. ფ. ლაბეცევი, სტენოგრაფ საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის პროგენი ფ. ფ. ბელოვი, ინსტრუქტორ ფ. ფ. ბელოვი, ინსტრუქტორ ფ. ფ. ბელოვი, ინსტრუქტორ

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲚ-ᲓᲝᲜᲔ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

24 ᲛᲐᲘᲡᲘ თბილისში გაიმართა ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შედეგები და ოლქის ჯარების პარტიული ორგანიზაციების ამოცანები, რომელთა მიზანია სახელმწიფო საზღვრის სამიდო დაცვა, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრა.

კრების პრეზიდიუმში იუნენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ჭ. ნიკოლაკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. ნ. საჯაია, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების პოლიტიკური სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი ვ. ნ. ნაზაროვი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გ. ა. ზგერსკი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების პოლიტიკური სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი ვ. ნ. ნაზაროვი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გ. ა. ზგერსკი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების პარტიული ორგანიზაციების ამოცანები, რომელთა მიზანია სახელმწიფო საზღვრის სამიდო დაცვა, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრა.

კრებაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტიკური განყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა ბ. ა. კუცმა. პოდპოლკოვნიკ ბ. ი. ობისო

რასაც ვუმაღლით და არ ვიცოდეთ...

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის, საქართველოში უმაღლესი მათემატიკური განათლების ერთ-ერთი ორგანიზატორის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის არჩილ ხარაძის დაბადების 90 წლისთავი.

პროფესორ ა. ხარაძის ხსოვნას მიეძღვნა საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოებამ.

თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ოყუჯავამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ბ. ხვედელიძემ, თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფესორმა ი. ქარცივაძემ და სხვებმა ლაპარაკეს იმაზე, თუ რა დიდი წვლილი მიუძღვის პროფესორ ა. ხარაძეს მათემატიკური მეცნიერების, კერძოდ, მათემატიკური ანალიზის, ალგებრის, გეომეტრიის, რიცხვთა თეორიის კლასიკური განაკვეთების განვითარებაში.

პროფესორი მათემატიკოსი, ფართო დიაპაზონის ტკვლევარი, დიდი პედაგოგიური ტალანტით დაჯილდოებული არჩილ ხარაძე თბილისის უნივერსიტეტში 6 ათეული წლის განმავლობაში ასწავლიდა მათემატიკას. მეტიც, არჩილ ხარაძე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოგადსუნივერსიტეტის მნიშვნელობის პიროვნება იყო, რომლის მოღვაწეობა ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა ამ დაწესებულებია ყველა კვეგანაყოფზე. ამის მიზეზი მარტო ისაში კი არ უნდა ეძებოთ, რომ არჩილ ხარაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, არამედ უპირატესად ისაში, რომ იგი უმაღლესი განათლების ერთ-ერთი პოიონერთაგანია ჩვენში და სხვა სახელმოხეცენელ ქართველ მათემატიკოს მეცნიერებთან ერთად ნაკოლ ბეგ ალიხანოვთან, ნიკო ბოსხელიშვილთან, გიორგი ნიკოლაძესთან ერთად შეადგენდა „მათემატიკოსთა შესანიშნავ ოთხეულს“, რომელმაც ითავა უმაღლესი მათემატიკური განათლების ორგანიზაციის მძიმე საქმე პირველ ქართულ უნივერსიტეტში. ამასთან, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ არჩილ ხარაძე დიდი (ოდნით აღუსრული, დახვეული ფიზიკოსი, ღირსებებით აღსავსე, უმჭეფლო რეპუტაციის ადამიანი გახლდათ, სავსებით გასაგები გახდება პატივისცემის ის უდიდესი ბრნყინვალისა და პროფესიული ავტორიტეტის მიზეზი, რომელიც მას ჰქონდა მოხვეული კოლეგებისა და ნაცნობების წრეში.

არჩილ ხარაძე 1895 წელს დაიბადა რკინიგზელის ოჯახში. მამას, კირილე ხარაძეს, ცდა არ დაუკლია, რათა თავისი შვილებისათვის განათლება მიეცა. სწორედ მის ამაგს უნდა ეუმადლოდეთ, რომ ამ მრავალიცხოვანი ოჯახიდან ბეჭრმა თავისი მისწრაფებნი შესაფერისი უმაღლესი განათლება მიიღო. ძმები — არჩილი და ეგეგენი გამოჩენილი მეცნიერები და მოღვაწეები გახდნენ. ყველას მოეხსენება, რომ არჩილ ხარაძის უმცროსი ძმა ეგეგენი ხარაძე ელექტრონიკის მეცნიერებათა დუფლებენელია ჩვენში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ა. ხარაძემ დაწყებითი განათლება მოღოთის სკოლაში მიიღო, საშუალო განათლება კი — თბილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში დაასრულა და ძმისი დამაკურებისთანავე მოსკოვში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. აქ იგი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელსაც ამშვენებდნენ დიდებული მასწავლებლები და სწავლულები დ. ეგოროვი, ნ. ლუზინი, ბ. მლოდზეევსკი, ლ. ლიტინი. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ შესანიშნავმა მეცნიერებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს მათემატიკით დინტერესებულ ნიჭიერ ახალგაზრდაზე. არჩილ სულ მალე მოწონებეს სტუდენტი გახდა.

1917 წლის მარტში ა. ხარაძემ, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა და, პროფესორ დ. ეგოროვის წარდგინებით, უნივერსიტეტის საბჭოსაგან მიიღო წინადადება დარჩენილიყო უნივერსიტეტში „პროფესორ ი ს წოდებისათვის მოსამზადებლად“. არჩილ ხარაძე მაშინვე შეუდგა სამაგისტრო გამოცდებისათვის მზადებას, მაგრამ ხელმოკლეობამ იძულებული გახადა საქართველოში დაბრუნებულიყო და პედაგოგიურ წველო-ოიგანნაცაცულ სამუშაოში. 1919 წელს იგი დაინიშნა საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, 1930 წლიდან კი თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკური ანალიზის კათედრის გამგე იყო. ამ ერთ-ერთ ძირითად მათემატიკურ კათედრის ის წარმატებით ხელმძღვანელობდა მთელი 45 წლის განმავლობაში. როცა 30-იანი წლების დასაწყისში უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა დარგობრივი ინსტიტუტები, კადრების ნაკლებობის გამო, ა. ხარაძემ ერთდროულად რამდენმე უმაღლესი მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელობა იტვირთა. სხვადასხვა დროს სწავლული იყო თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის პროორექტორი, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, მუშაობდა ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში, სპარტოველ მოლტექნიკურ ინსტიტუტსა და ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტში.

ა. ხარაძე 1941 წლიდან სამეცნიერო კომუნისტური პარტიის წევრია. ნამდვილად ძნელია ყველა იმ საზოგადოებრივი დავალების ჩამოთვლა, რომელთაც იგი ყოველთვის პასუხისმგებლობა ისეთ უდიდესი შეგნებით ასრულებდა. მეცნიერი ოთხჯერ იყო არჩეული თბილისის საკალაქო საბჭოს დეპუტატად. უდიდესი შრომა აქვს გაწეული ბასეინი განათლებისა და ცოდნის პოპულარიზაციის მხრივ. იგი გამუდმებით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, კი-თხულობდა ლექციებს-მოხსენებებს საზოგადოებაში „ცოდნის“ ბაზრთ, იყო მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და პიონერთა ბიბლიოთეკის სასაზღვრის ზ ჩრი სტუმარი, წერდა და აქვეყნებდა პოპულარული ხასიათის წერილებს, იყო ოფიციალ „კრიტიკული სტატიის ავტორი ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე.

1970 წელს ა. ხარაძე აირჩიეს საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტად, რომელსაც დიდი ტაქტითა და საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდა რამდენიმე წლის განმავლობაში.

პროფესორ არჩილ ხარაძის მეცნიერული მოღვაწეობა ზესრულებულ მეცნიერულ სამეშაოთა ციკლია, ეს ციკლი ფუნდამენტალურ ანალიზის სპეციალურ პრობლემებს ა ორთოგონალური პოლინომების თეორიის ამოცანებს.

და მაინც, ახალგაზრდობასთან მუშაობა არჩილ ხარაძის ყველაზე დიდი მოწოდება იყო. მისი დაუღალავი შრომა ამ მიმართულებით, დიახაც, განსაკუთრებულია. მთელი 60 წლის განმავლობაში შესანიშნავი სწავლული და პედაგოგი გატაცებით ასწავლიდა მათემატიკის დისციპლინებს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობის. როგორც ლექტორი და აღმზრდელი, არჩილ ხარაძე უალრესად პოპულარული პიროვნება იყო და ამას ობიექტური საფუძველი ჰქონდა: მაღალთა წინაშე ეგი ყოველთვის წარმოსდგებოდა როგორც ფაზეფილი კულტურის, დარბაისლური საქციელით, ფართო და ღრმა განათლების მქონე მასწავლებელი.

სწავლულისათვის დამახასიათებელი უბრალოება, თავაზიანობა, ზემოაღნიშნულ ღირსებებთან ერთად, ქმნიდა ჭეშმარიტი ინტელიგენტის სახეს, რომელიც, მისაბაძ ეტალონად შეიძლება მივიჩნიოთ.

ასეთი იყო ბატონ არჩილ ხარაძის შთამბეჭდავი სახე, მეცნიერისა და მოღვაწისა, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჩვენს მეცნიერებასა და კულტურას, ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების უკეთესოდ მოლვაწეს ამ ... ...